საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

დედაციხე

დედაციხე, ადრინდელი შუა საუკუნეების ხანის ციხესიმაგრე კასპის მუნიციპალიტეტში, ისტორიულ თეძმის ხევში, მდ. თეძმის მარჯვ. სანაპიროზე.

ციხე აღმართულია მაღალ, კლდოვან მწვერვალზე. ოთხკუთხა გალავნის შიგნით არის კოშკი, თონე, წყალსაცავები, ციხის ძირში კი – ნასოფლარი და დარბაზული საყდრის ნანგრევი. VII ს. სომხ. გეოგრაფიაში თანამიმდევრულადაა ჩამოთვლილი საქართვ. ადმ.-ტერიტ. ერთეულები, მ. შ. იხსენიება ტანის ხევი (აქ იგულისხმება თეძამ-ატენის ხეობები და მ. შ. მოქცეული ტერიტ.), რ-ის სათავეშია „დევციხე"; ქართ. წყაროებში დევციხე არ არის მოხსენიებული.

ვახუშტი ბატონიშვილი (XVIII ს.) ამ ადგილას ასახელებს დედაციხეს (ასე უწოდებდნენ ძველად დიდი მნიშველობის ციხეებს). დ-ის ასეთი მნიშვნელობა განპირობებული უნდა იყოს თეძმისა და ატენის ხეობებით, ქართლიდან თრიალეთში მიმავალი გზებით, რ-ებიც სწორედ აქ გადიოდა. მათ როლზე მეტყველებს ნახიდურები თეძამზე და იქაური ტოპონიმები: „სვანეთი", „ნადარბაზევი", "ბოგირი".

IX ს-ში, კლდეკარის ციხის აგების შემდეგ, დ-ის მნიშვნელობა ეცემა – აქ სხვა სააღმშენებლო ფენა აღარ ჩანს.

წყარო: ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, წგ.: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის *გამოც.*, ტ. 4, თბ., 1973.

ლიტ.: ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი დ., ციხეთა შესწავლის ზოგიერთი საკითხი, «ძეგლის მეგობარი», 1968, № 14.

დ. ბერძენიშვილი